

შპს "Kaspian Kredo"

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„Kaspian Kredo“-ს ბუღალტერი დაწესებულების

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის


მომზადებული „ფინანსური ანგარიშგების

საერთაშორისო სტანდარტი (ფასს

მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ის

მიხედვით

დირექტორი
ხელმოწერა



ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის, ისეთი ფორმით წარდგენაზე, რაც უზრუნველყოფს შესაბამის, სანდო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- წარადგინოს დამატებითი განმარტებები, როდესაც ფასს-ის კონკრეტულ მოთხოვნებთან შესაბამისობა არ არის საკმარისი მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია, რათა მისთვის ცხადი იყოს კონკრეტული ტრანზაქციების, სხვა მოვლენებისა და გარემოებების გავლენა „ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობასა და ფინანსური შედეგებზე“.


ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2019 წლის 30 სექტემბერს.

თანდართული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში წარსადგენად.

დირექტორი
ხელმოწერა



შპს "Kaspian Kredo"


ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
		2018	2017
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	111 979,00	170 022,00
სავაჭრო მოთხოვნები	2	818 815,00	606 559,00
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	3	39 424,00	51 484,00
სხვა მიმდინარე აქტივები	4	32 564,00	9 584,00
სხვა (მარაგების კორექტირება)		192 773,00	34 930,00
სულ მოკლევადიანი აქტივები		1 195 560,00	872 579,00
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	2 847 015,00	2 894 310,00
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 847 015,00	2 894 310,00
სულ აქტივები		4 042 575,00	3 766 889,00
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	7	282 494,00	67 692,00
სხვა ვალდებულებები	8	1 749 941,00	1 955 894,00
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2 032 435,00	2 023 586,00
გრძელვადიანი ვალდებულებები		0,00	0,00
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0,00	0,00
სულ ვალდებულებები		2 032 435,00	2 023 586,00
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	10	-901 890,00	-1 168 727,00
საწესდებო კაპიტალი	11	2 912 030,00	2 912 030,00
სულ საკუთარი კაპიტალი		2 010 140,00	1 743 303,00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4 042 575,00	3 766 889,00

დირექტორი
ხელმოწერა




შპს "Kaspian Kredo"
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფორმა #2 საქმიანობის შედეგები

საანგარიშგებო პერიოდი 2018 წელი		შენიშვნა
მომსახურების გაწევიდან ნეტო ამონაგები		692 135,00
დასაქმებულთა ანაზღაურება		243 281,00
ცვეთა და ამორტიზაცია		79 911,00
საპროცენტო შემოსავალი		-38 787,00
იჯარის ხარჯი		8 847,00
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11,00	136 271,00
სხვა		
<u>სულ საოპერაციო ხარჯები</u>		<u>429 523,00</u>
მარაგების თვითორიებულიება	12,00	158 194,00
<u>საოპერაციო მოგება</u>		<u>104 418,00</u>
წმინდა შემოსულობა დანაკარგი სავალუტო ოპერაციიდან		-305,00
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		<u>104 113,00</u>
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		<u>1 743 303,00</u>
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		370 950,00
საწესდებო კაპიტალის შემცირებით გატანა		-205 953,00
სხვა ცვლილებები		101 840,00
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		<u>2 010 140,00</u>

დირექტორი
 ხელმოწერა



შპს „Kaspian Kredo“
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

კომპანიის მოკლე ისტორია და ძირითადი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება Kaspian Kredo-ს მუდმივი დაწესებულება (ს.კ. 206268304) რეგისტრირებულია საქართველოში 25.12.2006 წელს. საზოგადოების დამფუძნებელია რეგისტრაციის თარიღიდან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1400891321, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება KASPIAN KREDO, აზერბაიჯანი (ს.კ. 3317599)

შპს „Kaspian Kredo“-ს მუდმივი დაწესებულების (ს.კ. 206268304) დირექტორი: მამად იბრაჰიმოვი (პასპ.# P4766925, C00037649, ბინადრობა- პ.#01291005585).

შპს „Kaspian Kredo“-ს მუდმივი დაწესებულების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკუთარი არასაცროვრებელი შენობების გაქირავება და მართვა. შპს „Kaspian Kredo“-ს საკუთრებაში არსებული ქონება განთავსდება შემდეგ მისამართებზე: ქ.თბილისი, ქიზიყის ქ.#4, სამგორის რ-ნი, მე-3 მასივი, 1 კვ.კორპ „გ“.

მომზადების საფუძვლები

ორგანიზაციის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ის მიხედვით.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ის ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებსა და სამოქმედო გარემოში მომხდარ ეკონომიკური მოვლენების შინაარსს

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. პოლიტიკა გამოიყენება უცვლელად, ყველა წლისთვის.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმო მათ აფასებს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას. საწარმო ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

დირექტორი
ხელმოწერა

შპს "Kaspian Kredo"

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ძირითადი საშუალებები

საწარმო ძირითადი საშუალებების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც:

ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. საწარმო ძირითად საშუალებებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. თავდაპირველი შეფასების შემდეგ საწარმო ძირითად საშუალებებს აღრიცხავს დაგროვილი ცვეთის გამოკლებით შედეგად მიღებული თანხით. ცვეთის დარიცხვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც აქტივი შედის გამოყენებაში. საწარმო ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს: (ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან (ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

სავაჭრო მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, შემდგომში ისინი საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშობა მაშინ როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება რომ კომპანია ვერ შეძლებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებელთა კრების ოქმით #05 -26/12/2006წ, ყოველი ცვლილება წესდებაში ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ. დაგროვილი მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების მოგებას/ზარალს. ასევე შპს-ს გააჩნია ვალდებულებები დამფუძნებელთა წინაშე, რომელიც წარმოქმნილია საწესდებო კაპიტალის შემცირების შედეგად(დამფუძნებელთა კრების ოქმი # 12 -04/09/2013წ)

ვალდებულებები


კომპანიას გააჩნია მხოლოდ მოკლევადიანი ვალდებულებები. „სხვა ვალდებულებებში „ (იხ. შენიშვნა 8) მითითებული თანხის ძირითადი ნაწილია დამფუძნებელთა წინაშე კაპიტალის დაბრუნების ვალდებულებები.

ამონაგები

საწარმოს ამონაგები აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. რომელიც მცირდება ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობით.

ხარჯების აღიარება

დირექტორი
ხელმოწერა



ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. „ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი“ (იხ. შენიშვნა 11) წარმოადგენს შპს-ს მიერ გაწეულ ყველა ხარჯს, როგორცაა კომუნალური, საკონსულტაციო, საშუამავლო მომსახურების ღირებულება, ადმინისტრაციული, ასევე საგადასახადო ხარჯები და ა.შ.)

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში მოქმედებს მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ მოდელის მთავარი ცვლილება არის ის რომ მოგების გადასახადის გადახდა ხდება დაგროვილი მოგების განაწილებისას. საანგარიშგებო პერიოდი წლის ნაცვლად გახდა თვე. გადასახადის განაკვეთი დარჩა იგივე - 15%. მოგების გადასახადით განაწილებულ მოგებასთან ერთად იბეგრება - სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ. მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2017 და 2018 წლების 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

მოკლევადიანი აქტივები:

ფულადი სახსრები – ბალანსში მოცემულია საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრები. 2. მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარდგენილია ბრუტო ღირებულებით და მოიცავს მოთხოვნებს საიჯარო მომსახურებიდან. 3. გადახდილი ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხები 4. სხვა მიმდინარე აქტივები - მარაგების ნაშთი საანგარიშო წლის ბოლოს.

გრძელვადიანი აქტივები:

5. ძირითადი საშუალებები ბალანსში წარდგენილია ნარჩენი საბალანსო ღირებულებით, რომელიც ტოლია ისტორიულ ღირებულებას მინუს აკუმულირებული ცვეთა. ცვეთა ძირითად საშუალებებს ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

ძირითადი საშუალებების ღირებულებაში ასევე შედის შპს-ს საკუთრებაში არსებული მიწა, რომლის ღირებულება 2011 წლის შეფასების თანახმად შეადგენს 1 681 975 ლარს.

